საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-10/ნ
2014 წლის 11 თებერვალი

ქ. თბილისი

,,სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 აგვისტოს №01-33/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 აგვისტოს №01-33/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 06/08/2013; 470230000.22.035.016216) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის (სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესი):**

ა) **მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:**

„4. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ,,წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი რეგულაციის ამოქმედებამდე ერთჯერადად წარმოადგინოს ,,ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) გამოწერის ინსტრუქციისა და რეცეპტის (ფორმა №3) ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №01-9/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ფორმა №3 (შემდგომში - ფორმა №3) რეცეპტის ბლანკზე გამოსაწერი სამკურნალო საშუალებების, გამოწერის პრაქტიკის ეტაპობრივი დანერგვის გეგმა-გრაფიკი (პერსონალის ინფორმირება, ტრენინგი, რეცეპტის ბლანკზე ეტაპობრივად გამოსაწერი მედიკამენტების ნუსხა).

5. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი კვირის ბოლოს ელექტრონულ პორტალზე ასახოს ინფორმაცია ფორმა №3 რეცეპტის ბლანკზე გამოწერის შემთხვევათა რაოდენობის შესახებ.”;

ბ) **მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:**

,,$8^{1.}$ **ბლოკი ,,რეცეპტები”** ივსება იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ახორციელებს ფორმა №3 რეცეპტის გამოწერას და მიეთითება ყოველკვირეულად გამოწერილი რეცეპტების რაოდენობა.”.

2. ბრძანების დანართი №1.1 (დაწესებულების საპასპორტო მონაცემები) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **დიმიტრი მახათაძე**